საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 21ივნისის
დადგენილება №2050

უცხოენოვან საგანმანათლებლოპროგრამებზე სწავლების განმახორციელებელი აკადემიურთანამდებობაზე მყოფი პირისათვის თანამდებობრივისარგოს განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სტუ-შიუცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების განმახორციელებელი აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოსტექნიკურუნივერსიტეტში უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების განმახორციელებელი აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესი

1. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც წინამდებარე სასწავლო წელს დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სრული აკადემიური დატვირთვა შეევსება უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 10 ივლისის №951 ან 2014 წლის 25 ივლისის №1236 დადგენილებებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამის პერიოდში მიღების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს;
2. რექტორის რეზოლუციის საფუძველზე, აკადემიური დეპარტამენტისგაფართოებულ სხდომაზე(დეკანატის წარმომადგენლის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის და ენის სპეციალისტის მონაწილეობით, რომლის კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იყოს ვიცე-რექტორთან/სწავლების დეპარტამენტის უფროსთან), პედაგოგმა პროგრამის ენაზე უნდა ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია. დადებითი შეფასების შემთხვევაში აკადემიური დეპარტამენტის სხდომის ოქმისამონაწერი(სხდომის ყველა მონაწილის ხელმოწერით) გადაეცემა, როგორც წესი, ფაკულტეტის საბჭოს.
3. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის ბიუჯეტში არსებული წესის მიხედვით.
4. დეკანი რექტორს წარუდგენს შესაბამის მოხსენებით ბარათს. მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
    - პროფესორის განცხადება;
    - ცნობა სწავლების დეპარტამენტიდან უცხოენოვან აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული აკადემიური დატვირთვის არსებობის შესახებ;
    - ცნობა მონიტორინგის დეპარტამენტიდან საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტების არარსებობის შესახებ;
    - აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებული სხდომის ოქმის ამონაწერი ლექციის ვიდეოჩანაწერთან ერთად;
    - საჭიროების შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილება ბიუჯეტის ცვლილების შესახებ.
5. პედაგოგისათვის განსხვავებული თანამდებობრივი სარგო გაიცემა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. თუ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მოხდა პედაგოგის უცხოენოვანი აკადემიური დატვირთვის შემცირება და საათების ფაქტიური რაოდენობა გახდება საშტატო საათების ნორმირებულ რაოდენობაზე (200 ან 400 საათი) ნაკლები, ანაზღაურება მოხდება იგივე ნიხრით საათების ფაქტიური რაოდენობის შესაბამისად.
6. მომდევნო სასწავლო წელს მითითებული პროცედურები ხელახლა უნდა განხორციელდეს.